დანართი 1.
„დამტკიცებულია“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის
2021 წლის 15 ივლისის N 02-03/86 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

აცხადებს კონკურსს აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ მომზადებულ

სატელევიზიო გადაცემის შესყიდვაზე

შესაძენი პროდუქცია:

გადაცემათა ციკლი: აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ

გადაცემათა რაოდენობა: 12 (თორმეტი) ერთეული.

გადაცემის ქრონომეტრაჟი: ყოველკვირეული გადაცემა 25-30 (არანაკლებ ოძდახუთისა და არაუმეტეს ოძდაათი წუთის) წუთი.

მაყურებლის მიზნობრივი აუდიტორია: +12 წელი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

განცხადებების მიღების დაწყების თარიღი : 16 ივლისი 2021 წ.

განცხადებების მიღების დასრულების თარიღი: 02 აგვისტო 2021წ.

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდი: 08/2021 –11/2021

დაფინანსების ოდენობა: 37500 (ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით.ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებული ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია წარმოადგინოს დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. (იხ. „ შენიშვნა“)

წინმსწრები (საავანსო) ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის განმავლობაში 12500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარს.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) მსგავსი თემატიკის გადაცემ(ებ)ის შექმნასა და მომზადებაზე მუშაობის გამოცდილება ორგანიზაციისათვის ან/და ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისათვის;

ბ) ანალოგიურ თემატიკაზე მის მიერ მომზადებული სულ მცირე 3 ფილმი ან/და გადაცემა ან/და ანიმაცია (ელექტრონული ფორმით) .

გ) მოსამზადებელი გადაცემების საპილოტე ვერსია და სულ მცირე 5 გადაცემის სასცენარო გეგმა, სადაც ნათლად იქნება აღწერილი (ნაჩვენები) გადაცემის რეჟისორული ფაბულა და სტილისტიკა.

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მოსაწოდებელი გადაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) გადაცემ(ებ)ის თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ/განსაზღვრულ სტანდარტებთან; გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;

ბ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შეფუთული სრულად (ანონსი, ქუდი, ტიხარი, ფონი) შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.

გ) გადაცემის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 25 წუთზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

დ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შექმნილი კონკრეტული კონკურსისთვის, უნდა იყოს ექსკლუზიური და აკმაყოფილებდეს სატელევიზიო სტანდარტებს.

ე) გადაცემა გასართობთან ერთად უნდა ატარებდეს შემეცნებით და ინფორმაციულ (ტურიზმის დარგში) ხასიათს.

ვ)გადაცემის თემატიკა უნდა იყოს მრავალფეროვანი (მაგალითად: საზღვაო და სამთო კურორტები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, დაცული ტერიტორიები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ექსტრემალური სპორტის სახეობები - ზღვაზე და მთაში, ფოლკლორი, კულინარია, კულტურა, ექსპედიციების სხვადასხვა სახეობები და ა.შ.)

ზ) გადაცემის დინამიურობისთვის სასურველია გამოყენებული იყოს გრაფიკული ელემენტები;

თ) ხარისხიანი კადრი, პროფესიონალური მონტაჟი, ლიცენზირებული მუსიკა, დინამიკა, მხატვრული ხმა;

ი) გადაცემა უნდა იყოს შემდეგი ფორმატის Full HD 1920x1080 i 25 fps.Mpeg2;

<u>გადაცემები უნდა მომზადდეს წინმსწრებად და მოწოდებული უნდა იყოს საეთერო ვადამდე არაუგვიანეს 10 დღისა. კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება</u>

<u>წარმოადგინოს თვეში არანაკლებ 4 (ოთხი) გადაცემა დამკვეთის მიერ დადგენილი წესით.</u>

მოწოდებულ პროდუქტზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“.

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;

გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა;

ე) ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე.